საბჭოთა სტალინურ ეპოქის ახალგაზრდა თაობის—ლენინურ კავშირის 10 ყრილობას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

პარასკევი
10
აპრილი
1936 წ.
№ 8 (67)

მეათე

დღეს 10 აპრილს ქ. მოსკოვში საბჭოთა კავშირის ბედნიერი ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის—ლენინური კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლები იკრიბება თავის მეათე ყრილობაზე. რომ შეაჯამოს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა და ახალ ვითარებასთან დაკავშირებით დასახოს კავშირის მუშაობის შემდგომი ამოცანები.

„ამხანაგ სტალინის მითითებებმა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ **განსაზღვრეს ამ ეტაპზე სოციალისტურ მშენებლობაში კომკავშირის მონაწილეობის ცენტრალური ამოცანა, როგორც ახალგაზრდობის და ბავშვების კომუნისტურად აღზრდისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მათი დარაზმვის ამოცანა.** ეი ამ ამოცანაზე უნდა იმუშაოს მთელმა ლენინურმა კომკავშირმა“ (კოსარევი).

სტალინის ამ მითითებიდან თითქმის ერთმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ლენინურმა კომკავშირმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა, ცენტრალური ამოცანის—ახალგაზრდობისა და ბავშვების კომუნისტური აღზრდის წარმატების საქმეში.

როგორც კომკავშირის საგადარჩევო კამპანია ისე მეათე ყრილობისათვის სამზადისი იყო ცენტრალური ამოცანისაკენ მობრუნების დემონსტრაცია. მეათე ყრილობა შეაჯამებს მთელ ამ მუშაობას და დასახავს საბრძოლო ღონისძიებებს რომლებიც გამომდინარეობენ კომკავშირის ცენტრალური ამოცანიდან. კომკავშირის მეათე ყრილობა იქნება უდიდესი დემონსტრაცია ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი საბჭოთა ახალგაზრდობის ერთგულებისა, საბჭოთა სამშობლოს დაცვის საქმეში მზადყოფნისა, მეათე ყრილობის საქმიანობა დაამტიცებს, რომ **„კომკავშირი შესძლებს ისახელოს თავი ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებით“.**

ამოცანა **„კომკავშირის წევრები თავის მეათე ყრილობას უნდა შეხვდენ ახალი გამარჯვებებით და მიღწევებით“**—მოითხოვდა, როგორც კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების გადარჩევების ყველა წესების ზუსტად დაცვას, ისე გადარჩევებზე კომკავშირელთა მიერ შემოტანილი წინადადებათა ზუსტად შესრულებას. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, პირველიდან ხუთ აპრილამდე უნივერსიტეტში ჩატარებულმა კრებებმა, რომელიც მიძღვნილი იყო ა/კ. კომკავშირულ ორგანიზაციების მე-7 ყრილობის და საქ. კომკავშირის მე-12 ყრილობის შედეგების დამუშავებისა და საანგარიშო საგადარჩევო კრებებზე შემოსულ წინადადებათა შესრულების შემოწმებისათვის, გამოამჟღავნა, რომ კომკავშირის ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არაა რეალიზებული საგადარჩევო კრებებზე შემოტანილი წინადადებანი. კომკავშირის ტფ. სახ. უნივერსიტეტის ორგანიზაცია მტკიცედ უნდა დაირაზმოს თავისი ძირითადი ამოცანის ირგვლივ, გადარჩევებზე შემოსული წინადადებების რეალიზაციის საქმეში.

მთელი კავშირის ორგანიზაციებთან ერთად უნივერსიტეტის კომკავშირელები და უპარტიო ახალგაზრდები უდიდესი აღტაცებით მოელიან მეათე ყრილობის ტრიბუნაზე წარმოთქმულ სიტყვებს კავშირის ამოცანებზე. უნივერსიტეტის ორგანიზაცია კავშირის სხვა ორგანიზაციებთან ერთად მტკიცედაა დარაზმული იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რომელსაც მიიღებს მეათე ყრილობა.

გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე

პირველი შემთხვევაა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ისე ფართოდ გაშლილიყო სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა, როგორც ეს არის მიმდინარე სამოსწავლო წელს განსაკუთრებით კი მეორე სემესტრში. ჩვენს სინამდვილეში სტუდენტების ინტერესი ასე წარმტაცად არაოდეს მიუპყრია მეცნიერულ წრეებს. სამეცნიერო წრეებში სტუდენტები (როგორც მომხსენებლები ისე მოკამათეები) ამყარებენ აკადემიური მომზადების მაღალ დონეს. წრეების მუშაობას ხელმძღვანელობენ სამეცნიერო წრის გამგეებთან (სტუდენტებთან) ერთად საგნის ხელმძღვანელი პროფესორები და დოცენტები, ისინი სხდომის დასასრულს გამოდიან საქმიანი შენიშვნებით და აშუქებენ ყველა იმ საკითხებს რის შესახებაც იყო კამათი სტუდენტებს შორის, ხშირად ლექტორებიც ფართოდ ღებულობენ მრჯველობაში მონაწილეობას.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეები დიდათ უწყობს ხელს სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში და თეორიული განათლების დონის ამაღლებაში.

უნივერსიტეტში ამ ჟამად (მეორე სემესტრში) 40-დე სამეცნიერო წრე არსებობს და მათ მიერ 70-ზე მეტი მოხსენება ჩატარდა ნაცვლად პირველ სემესტრში ჩატარებული 23 მოხსენებისა, ყველა ჩატარებული მოხსენებიდან პროფესორ-ლექტორების მოხსენება იყო მხოლოდ 14, დანარჩენი მოხსენება კი წაკითხული იქნა სტუდენტების მიერ. საგრძნობლად დიდია სტუდენტთა აქტიობა, როგორ მოხსენებების წაკითხვის, მხრივ ისე კამათში მონაწილეობით, რაც ერთხელ კიდევ ლაპარაკობს ჩვენ მიერ ზემოდ აღნიშნული აზრის სასარგებლოდ.

საჭიროა ავღნიშნოთ, რომ ყველა წრის შესახებ არ შეიძლება ერთნაირი შეხედულება ვიქონიოთ. ზოგი მათგანი მეტი შექების ღირსია. ასე მაგალითად ბიოლოგიური ფაკულტეტიდან **ენტომოლოგიის სამეცნიერო წრე** (ხელმძღვანელი პროფ. კალანდაძე) ეკონომიური ფაკ-დან **სოციალისტური აღრიცხვის** (ხელმძ. **პროფ. ზ. ჩახვაძე**), **პოლიტიკური ეკონომიის** (**ხელმძღვანელი პროფ. კ. ორაგველიძე**) **და პოლიტ. ეკ ისტორიის** (**ხელმძღვანელი დოც. ბ. რამიშვილი**) სამეცნიერო წრეები. სამართლის ფაკულტეტიდან **სისხლის სამართლის ზოგადი თეორიის** (ხელმძ. გ. სოსელია) სამეცნიერო წრე და სხვა. მათი მუშაობა საქმიანი და მიმზიდველია. მაგრამ რა უნდა ითქვას ლიტერატურის ფაკურტეტთან ჩამოყალიტებული (ენათ მეცნიერების სამეცნიერო წრის გამოკლებით სამეცნიერო წრეების შესახებ? აქ პირველ სემესტრში 10 მოხსენება ჩატარდა (რაც უთუოდ კარგია) მაგრამ მეორე სემესტრში მხოლოდ 3 სხდომა იქნა ჩატარებული. **ქართული ლიტერატურის** სამეცნიერო წრეს (ხელმძღვანელი ასპ. გ. ესებუა) და **რუსული ლიტერატურის** სამეცნიერო წრეს (ხელმძ. დოც. ანიკრ ჩხეიძე) ჯერ არც ერთი სხდომა არ ჰქონიათ. ლიტერატურის ფაკულტეტში სამეცნიერო წრეების მუშაობის გაშლის საქმეში არ სჩანს ხელმძღვანელობა.

ბიოლოგიურ ფაკულტეტთან ჩამოყალიბებული „გენეტიკისა და ზოგადი ბიოლოგიის“ სამეცნიერო წრე (ხელმძღვანელი ანდრიაძე) მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ოქმშია ჩაწერილი. დღემდე მოხსენებების თემები არარის შერჩეული და განაწილებული სტუდენტებზე. მოხსენების ჩატარებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. არის შემთხვევები როცა წრეებზე მიმაგრებული პროფესორები არ ცხადდებიან სამეცხიერო წრის სხდომებზე და არ უწევენ მათ ხელმძღვანელობას. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მაგალითად ფიზიკომატემატიკური ფაკულტეტთან ჩამოყალიბებულ სამეცნიერო წრეებში (პროფესორი ხარაძე, დოცენტი ანდრონიკაშვილი დოც. გორდაძე).

გეოგრაფიულ-გეოლოგიური ფაკულტეტთან არსებული „გეოლოგიის“ სამეცნიერო წრეში გაერთიანებული არიან მაღალი და დაბალი კურსის სტუდენტებში, რაც ყოვლად დაუშვებელია იმ ანბანური ჭეშმარიტების გამო, რომ აქ რაც დაბალი კურსელებისთვის საინტერესოა მაღალი კურსებისათვის ინტერეს მოკლებულია და პირიქით.

აღნიშნული დეფექტები შავ ლაქებივით მოსჩანს უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეების საქმიანი მუშაობაში, დროზე მოვახდინოთ დეფექტების ლიკვიდაცია და გამარჯვება ბოლომდე მოვიყვანოთ.

კ. კ.

ფრიადოსნების შეხვედრა პროფესორ-ლექტორებთან

ა/წ პირველ აპრილს ეკ. ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ბიურომ მოაწყო ფრიადოსან და წარჩინებულ სტუდენტთა შეხვედრა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ ლექტორებთან. შეხვედრის მიზანი იყო ფრიადოსნების გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, პროფესორ ლექტორებთან ფრიადოსან სტუდენტთა კავშირის გამტკიცება და ფრიადოსნური მოძრაობის გაშლა სტუდენტთა მასებში.

შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდა აჟ ფრიადოსანი და წარჩინებული სტუდენტი, დაესწრენ: პროფ. გ. გეხტმანი, პროფ. ზ. ჩახვაძე, ვ. ფაილოძე, ვ. ესაკია, ი. კვირიკაძე და სხვები. თვითანგარიშით გამოვიდენ ფრიადოსანი სტუდენტები: ვ. მელქაძე, ო. ბეროძე და ტ. ჭელიძე (უპარტიო).

სტუდენტთა თვითანგარიშის დამთავრების შემდეგ პროფ. პროფ. გ. გეხტმანმა და ზ. ჩახვაძემ სტუდენტებს ესაუბრენ თუ როგორ მუშაობდენ ისინი სტუდენტობის დროს საგნებზე და როგორ ემზადებოდენ სამეცნიერო ხარისხის მისაღებად. სტუდენტებს გააცნენ **ლენინის** სამეცნიერო მუშაობის ეპიზოდები.

დასასრულ ფრიადოსნების მუშაობის საკითხებზე შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდენ ვ. ესაკია (ეკ. ფაკ. დეკანის მოადგილე) და ი. კვირიკაძე („ბოლ. კად-ვის“ რედაქტორის მოადგილე).

შეხვედრაზე მიღებულ გამოცდილების სტუდენტთა მასებისათვის გაზიარების მიზნით, აკადემიურ ჯგუფებში მოსმენილ იქნება შეხვედრის მონაწილე ფრიადოსან სტუდენტთა თვით ანგარიში.

ა. ფაცურია.

ბუშაობა გაიშალა

ამ მოკლე ხანში ტფილისის სახუნტის ეკონომიურ ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა **საფინანსო სამეცნიერო წრე**, საფინანსო წრე წარმოადგენს ფინანსების დარგში უმაღლეს კვალიფიკაციის კადრების მომზადების დამხმარე ორგანიზაციას. წრე აერთიანებს 120 სტუდენტს, რომელსაც ყავს გამგეობა 5 კაცის შემადგენლობით. წრეს აქვს წესდება, აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი მუხლების შესრულებას:

1. წრის საჯარო სხდომები იმართებოდეს მოხსენების წაკითხვით 15 დღეში ერთხელ.

2. წაკითხულ იქნას წრის საჯარო სხდომებზე შემდეგი ხასიათის თემები: ა) „ფინანსების როლი გარდამავალ პერიოდში,“ (მომხსენებელი-დოცენტ არჩილ გოკიელი). ბ) „1936 წლის საფინანსო პროგრამა“, (მომხსენებელი სტ. ვ. ტრაპაიძე). გ) „მეორე ხუთწლედის საფინანსო პროგრამა“ (მომხსენებელი-სტ. აპ. ძოძუაშვილი) და სხვა.

3. კავშირის დაჭერა უმაღლეს საფინანსო სკოლასთან და საფინანსო ეკონომიურ ტეხნიკუმთან.

4. წარმოება დაწესებულებებში მოხსენების წაკითხვა.

5. ექსკურსიების მოწყობა რომელიმე სამეურნეო ორგანიზაციაში, სამეურნეო ანგარიშის საკითხზე და სხვა.

მოხსენებები გარკვეულ თემებზე სურვილისამებრ აღებული აქვს დამკვრელ სტუდენტებს.

საჭიროა უზრუნველვყოთ სტუდენტების მეტი რაოდენობას ჩაბმა საფინანსო წრის მუშაობაში. მიიღოს კიდევ მეტი აქტიური მონაწილეობა კამათში გამოსვლით, საუბრების ჩატარებით ჯგუფებში წრის მეცადინეობაზე სისტემატიური დასწრებით და სხვ.

ა. ძოძუაშვილი.

ქიმიის ფაკულტეტი აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის გრძოლაში

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კიევის, ბაქოს და ერევნის უნივერსიტეტებთანაა ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. დასახელებულ უნივერსიტეტებთან გამარჯვება ფრიად სერიოზული საქმეა. გამარჯვება თავის თავად არ მოდის, მას თავდადებული მუშაობით მოიპოებენ ხოლმე.

ამ მხრივ ცალკეულ ფაკულტეტებზე ბევრი რამეებია დამოკიდებული. ეს ანბანური ჭეშმარიტება, როგორც სხვა ფაკულტეტებში ისე ქიმიის ფაკულტიტშიც იქნა გაგებული. ქიმიის ფაკულტეტმა უნივერსიტეტებს შორის დადებული ვალდებულებებიდან გააკეთა საჭირო დასკვნები. ფაკულტეტში აღებული ვალდებულებათა შესრულების მიმართულებით ბევრი გაკეთდა. პედ. პროცესის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით გამოცხადდა კონკურსი ქიმიის საუკეთესო სახელმძღვანელოებზე. კონკურსმა კათედრებს შორის ფართო გამოძახილი ჰპოვა. დასაბეჭდად მზადდება მთელი რიგი მეცნიერული შრომები. ასე მაგალითად ფიზიკური ქიმიის კათედრიდან დოც. კოკოჩაშვილის შრომა „გამხსნელის გავლენა რეაქციის სიჩქარეზე“. სასურსათო ქიმიის კათედრიდან დოც. ყიფშიძეს შრომა „აქტიურ ნივთიერების გავლენა კრისტალზე“. აგრეთვე იბეჭდება „ამოცანათა კრებული ფიზიკური ქიმიაში“ და სხვა. სხვა კათედრებს შორის აღსანიშნავია ორგანიული ქიმიის კათედრის (გამგე პროფ. ციციშვილი) და არაორგანიული ქიმიის კათედრის (გამგე პროფ. მოსეშვილი) მიერ ჩატარებული მუშაობა. სამეცნიერო წრეებში დღემდის ჩატარებულია 8 მეცნიერული მოხსენება.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობს იმის შესახებ თითქოს ქიმიის ფაკულტეტში ყველაფერი თავის რიგზე იყოს. აღებულ ვალდებულებათა მიხედვით უნდა ჩატარებულიყო მეთოდიური ხასიათის ორი სპეციალური მოხსენება, მაგრამ დღემდი ამ მიმართულებით არაფელი გაკეთებულა. გეგმა ითვალისწინებს ორი ლიტერატურული ხასიათის მოხსენების („რუსთაველის მსოფლმხედველობა“, და „60 წლების ხალხოსნობაზე“ ჩერნიშევსკი) ჩატარებას, საერთო საცხოვრებელში წითელი კუთხის სანიმუშოდ მოწყობას, ფაკულტეტის სტუდენტების საერთო სხდომაზე „წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საკითხებზე“ მოხსენების ჩატარებას, მაგრამ ჯერ კიდევ „ძვრები“ არ არის.

აღებულ ვალდებულებათა შესრულება, სოც-შეჯიბრებაში გამარჯვების წინა პირობაა. ვალდებულებათა შემოწმებამდის დარჩენილი პერიოდი გამოვიყენოთ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კ. ცაცუა.
ნ. გვაზავა.

პროფბილეთების გამოცვლის წინ

პროფბილეთების გამოცვლა, რომელიც დაიწყო მარტის თვიდან, ბევრ ადგილას მიმდინარეობს არა დამაკმაყოფილებლად. ასე მაგალითად, კუიბიშევის მხარის პროფკავშირთა საბჭო იძულებული იყო შეეჩერებია პროფბილეთების შეცვლა იმ პროფორგანიზაციებში რომლებმაც ეს საქმე ყოველგვარ წინასწარ მომზადების გარეშე დაიწყეს. პროფკავშირის წევრთა ფართო მასებს არ განუმარტეს პროფბილეთების შეცვლის მნიშვნელობა. ანალოგიურ მოვლენებს ადგილი აქვს სხვა ადგილებშიაც, აქაიქ პროფმუშაკებმა პროფბილეთების შეცვლა გაიგეს, როგორ პროფკავშირის წმენდა.

ამ დღეებში საკავშირო პროფკავშირთა ც. კ. თათბირმა გვიჩვენა, რომ **პროფბილეთების** გამოცვლის მხრივ ყველაფერი რიგზე არაა.

საკ. პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ვეინბერგმა ამ თათბირზე აღნიშნა, რომ პროფბილეთების შეცვლის კამპანიამ, პროფკავშირულ მეურნეობაში ზუსტი წესრიგის დამყარებისთანავე ერთად, უნდა ჩაბას პროფკავშირებში მუშებისა და მოსამსახურეების ახალი მასები. (ადს.)



საკ. კომ. პარტიის მოწინავე კანდიდატები: ფალავანდიშვილი ს., მოისწრაფიშვილი, კუტუბიძე ლ.

პარტიული გამოცდა ფრიადზე ჩაბარებულ

1931 წლიდან ვარ საკ. კომ. პ. (ბ) კანდიდატი, ვასრულებ პარტიის ავანგარდულ როლს, როგორც იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მხრივ ასევე სწავლებაში, ვითვლები ეკ. ფაკ. მე-IV კურსის სტუდენტად უნივერსიტეტში შემოსვლის დღიდანვე ვასრულებდი და ვასრულებ შემდეგ პარტიულ და კომკავშირულ დავალებებს: 1932-33 წ. აკადემიური ჯგუფის კომორგი, 1933-34 წ. ეკ. ფაკ. კ. კავშირის უჯრედის კულტ-პრობი, 1935 წელს კ. კავშირის აგიტატორი, 1933-34-35 წლებში და ამჟამად ვმუშაობ უნივერსიტეტში პროპაგანდისტად. ამავე დროს ვასრულებდი სხვადასხვა პერიოდულ დავალებებს.

შესწავლილი მაქვს საკ. კომ. პ. (ბ) ისტორიის სრული კურსი, საფუძვლიანად დამუშავებული მაქვს ამხ. ლ. ბერიას ისტორიული მოხსნება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის". დამუშავებული მაქვს კომინტერნის მე-VII კონგრესის მასალები. გაცნობილი ვარ პარტიის პროგრამას და წესდებას. პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა ჩემში პასუხისმგებლობა. ვამუშავებ ხელმეორედ ღრმად შესწავლის მიზნით პარტიის ისტორიას, ვერკვევი საერთაშორისო საკითხებში. გამოწერილი მაქვს და სისტემატიურად ვკითხულობ გაზეთ „კომუნისტს" და „ახალგაზრდა კომუნისტს", ვითვლები უნივერსიტეტში შემოსვლის დღიდანვე წარწანებულ სტუდენტად (დაჯილდოვებული ვარ 5-ჯერ სხვადასხვა რაოდენობის თანხით და სხვადასხვა ლიტერატურით).

ილია მოისწრაფეშვილი.

პარტიის ღირსეული წევრობისათვის

საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებული ვარ 1932 წლიდან. გასულ წელს გავიარე პარტ-დოკუმენტთა შემოწმება, რომელ დროსაც არავითარი შენიშნვნა არ მიმიღია. მაქვს პარტიული დავალება ჯგუფში (პარტ-აგიტატორი). ვსწავლობ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში იაროსლავკის სახელმძღვანელოს მიხედვით. სისტემატურად ვესწრები პოლიტმეცადინეობას და წაკითხულ თემებს ვამუშავებ კონსპექტების შედგენით აკადემიურ საგნებში ვსწავლობ უმთავრესად ფრიადებზე. (ჩემი საშუალო აკადემიური ნიშანია 4,9). ვმუშაობ ე. ფაკ. არსებულ საფინანსო სამეცნ. წრის გამგეობის თავმჯდომარედ. ამავე დროს ვმსახურებ საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატში საკმაოდ რთულ სამუშაოზე, მაგრამ ყველა პარტიული, და საზოგადოებრივი დავალების შესრულებას მაინც ვაღწევ წარმატებით.

პარტიული ბილეთების გამოცვლა და პარტიის რიგებში წევრად მიღების დაწყება ახალ ენერგიას მმატებს იმისათვის, რომ უკეთ ვიმუშავო. ცხადია, პარტიაში მიღებული იქნება მხოლოდ ის, ვისაც შესწევს უნარი მტკიცედ ატაროს და დაიცვას პარტიის წევრის დიდი სახელწოდება. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. ამ გადაწყვეტილებიდან ჩემი ამოცანაც გამომდინარეობს რომ უფრო ღრმად შევისწავლო ჩვენი პარტიის გმირულ ბრძოლის ისტორია, მტკიცედ და საფუძვლიანად შევისწავლო პარტიის წესდება და პროგრამა, ამასთან ერთად ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ღირსი გავხდე დიდი ლენინის და სტალინის პარტიის წევრობისა. მე დიდი ენტუზიაზმით ვეგებები ახალი ბილეთის მეღებას და შემდეგ პარტიაში წევრად გადარიცხვას, ხოლო ეს მარტო ენტუზიაზმი როდია! ის მეტად დიდი ვალდებულებების აღებასაც ნიშნავს. უნივერსიტეტის პარტკომიტეტი და ეკ. ფაკულტეტის პარტ-ორგანიზაცია მე დიდ დახმარებას მიწევს პარტიის წევრად მომზადების საქმეში.

მე დაუღალავად ვიმუშავებ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში გავხდე ბოლშევიკური პარტიის ღირსეული წევრი.

პარტკანდიდატი ვლ. ტრაპაიძე.

როგორ ვემზადები პარტიაში გადასარიცხავად

კ. კ. წევრი ვარ 1924 წლიდან და პარტ-კანდიდატი 1932 წლიდან. ვითვლები სახუნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პირველ კურსზე.

უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი და ეკონ. ფაკულტეტის პარტ-ორგანიზატორი, როგორც სხვა პარტ-კანდიდატებს ისე მეც განსაკუთრებულ დახმარებას მიწევს, რომ მომზადებული შევხვდე პარტბილების გამოცვლას და პარტიაში გადარიცხვის საკითხს.

ჩემი ძირითადი დატვირთვა ის არის, რომ ვარ კ. კ. პოლიტ-სკოლის პროპაგანდისტი. მეძლევა ამავე დროს ერთდროული პარტიული დავალებები, რომლებსაც აქტიურად ვასრულებ პარტორგანიზაციის ყოველდღიური დახმარებით და ხელმძღვანელობით. არ მქონია არც ერთი შემთხვევა, რომ პარტიის კრებას და პოლიტ-მეცადინეობას დავკლებოდი. პოლიტწრეში დამუშავებულ ყველა საკითხებზე შედგენილი მაქვს კონსპექტი. სისტემატურად ვამზადებ წრეში დამუშავებულ საკითხებს. პროპაგანდისტი ამხ. გეგეჭკორი სხვებთან ერთად ხშირად ამოწმებს ჩემ მეცადინეობას და მაძლევს საათანადო ახსნა-განმარტებას დასმულ საკითხებზე. საფუძვლიანად მაქვს დამუშავებული პარტიის წესდება და პროგრამა და საკმაოდ მაქვს შეთვისებული ამხ. ბერიას მოხსენებისა და პარტისტორიის ძირითადი საკითხები. გამოწერილი მაქვს „კომუნისტი" და „ახალგაზრდა კომუნისტი" და სისტემატურად ვენცობი ყოველდღიურ პრესას. გაერთიანებული ვარ პოლიტ-ეკონომიის სამეცნიერო წრეში. ჯგუფში ვითვლები კარგ სტუდენტად. ვარ ამავე დროს ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი ჯგუფხელად და ენერგიულად ვასრულებ ამ მხრივ გათვალისწინებულ მოვალეობას. თვეში 2 ჯერ ვესწრები კინო-წარმოდგენებს, ვკითხულობ ლიტერატურას და სხვა.

ამ ჟამად ჩემი საბრძოლო ამოცანა არის გამოვასწორო ყოველგვარი დეფექტები, რომლებიც თან ახლავს ჩემს მუშაობას და ნამდვილი მომზადებული შევხვდე პარტ-ბილეთების გამოცვლას და პარტიაში მიღების საკითხს.

აფთონ ანთიძე.

იდეური დონის ამაღლებისათვის კომკავშირში

ლიტერატურული ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში 9 პოლიტწრეა, რომელშიდაც გაერთიანებულია 181 კ. კ. წევრი და 79 უპარტიო ახალგაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით ჩატარდა ამხ. ლ. ბერიას მოხსენების „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხისათვის„ შესწავლა, რომელიც კომკავშირის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე აღზრდის უძლიერესი იარაღია. არ არის პოლიტ-წრის არც ერთი მსმენელი, რომელსაც არ ჰქონდეს ამხ. ლ. ბერიას მოხსენება დამუშავებული და კონსპექტი შედგენილი. ლიტ. ფაკ. კომკავშირის ორგანიზაციაში 3 ტიპის პოლიტ-სკოლაა, სადაც გაერთიანებულია მსმენელები პოლიტ-მომზადების დონის მიხედვით; გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მსმენელებს, ისე წრეებს შორის.

არიან მთელი რიგი ამხანაგები, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობენ პოლიტ-წრეებში, სისტემატურად ესწრებიან მეცადინეობას და ამუშავებენ მიცემულ მასალებს. ასეთებია: მითაიშვილი გიორგი, მამულაშვილი ქეთო, ბადურაშვილი ნიკოლოზ, უჩავა მიხეილ, კილანავა ნიკოლოზ, შველიძე ნიკოლოზ, ნუცუბიძე დავით, ხუტულაშვილი სიკო, გოჩოლეიშვილი ვასილი, შარმიაშვილი ნიკო, კუპრაშვილი ილია, ხელაძე შიო, ბოშკვაძე ფრიდონ, გერსამია ვასილი, საამოვი გიორგი, ყაჯარდუზოვი სიმონ და სხვები. თითეულ მათგანს აქვს საუკეთესოდ დამუშავებული კონსპექტები და იყენებენ დამხმარე ლიტერატურასაც. არიან მოწინავე უპარტიო ამხანაგებიც, რომლებიც წარჩინებით სწავლობენ პ/სკოლაში: ჯაფარიძე ვენერა, შარაშენიძე თინა, გაჩეჩილაძე პოლიაქტო, ფოჩხუა ბიძინა და სხვები.

ფაკულტეტში მოწინავე ჯგუფორგგებია: გორგოძე (111 ჯგ.), დავთიანი (110 ჯგ.), ფაჩური (112 ჯგ.) და სხვები.

საუკეთესო შედეგებს მივაღწიეთ მსმენელთა დასწრებისა, მოცემულ მასალათა ღრმად შესწავლისა და ხარისხობრივად დამუშავების საქმეში № 70, 71 და 74 პოლიტ-წრეებში 28 თებერვალს და პირველ მარტს მოეწყო ამხ. ბერიას მოხსენების (ოთხივე წრეში). შესწავლასთან დაკავშირებით ეკსკურსია საქ. მუზეუმში.

მიუხედავათ ამ მიღწევებისა ჯერ კიდევ არის მცირე რიცხვი კომკავშირელებისა, რომლებიც პოლიტ-განათლების საქმეში იჩენენ აშკარა შეუფასებლობას; არ ესწრებიან მეცადინეობებს და არ ამუშავებენ პოლიტ-წრეში მოცემულ მასალას, ასეთებია: **ფოფხაძე მიხეილ,** (5 ჯერ გააცდინა მეცადინეობა) **მგალობლიშვილი ტიტე. ხაჩიძე შალვა** და სხვები, მათ წინააღმდეგ კრებაზე სათანადო კომკავშირული სასჯელი იქნა გამოტანილი.

ლიტ.-ფაკულტ. ყავს საუკეთესო პროპაგანდისტები **ალ. ჩავლეიშვილი, კ. ხაინდრავა, ვ. კოპალიანი, დ. კალანდია, ვ. ასათიანი** რომლებიც იძლევიან პროპაგანდისტულ მუშაობის საუკეთესო ნიმუშს.

ვ. ტულუში.

(ლიტ. ფაკ. კ. კ. პოლიტ-განათლების დარგის ორგანიზატორი)

ოთხმოცდაათ ოცდაოთხ

გამოვიყენოთ შრომის სოც. მეთოდები

ვარ ფიზიკურ-მათემატიკურითი ფაკ. პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მსმენელი. მეცადინეობას ყოველთვის ვესწრები მომზადებულად; სისტემატურად ვამუშავებ თემისთვის მითითებულ ლიტერატურას და წინასწარ ვათვალიერებ მორიგ მეცადინეობის მასალას.

პოლიტ-სკოლაში ნაყოფიერი მუშაობისათვის გარდა სავალდებულო ლიტერატურისა დიდი მნიშვნელობა აქვს პერიოდულ ლიტერატურის სისტემატურ კითხვას მიტომ გამოწერილი მაქვს გაზეთი „ბოლშევიკი" „ახ. კომუნისტი" ჟურნალი „ბოლშევიკი" „ახ. ბოლშევიკი" და უნივერსიტეტის გაზეთი „ბოლ. კადრებისათვის".

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენს პოლიტ-სკოლაში არაა გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები (სოც-შეჯიბრება და დამკვრელობა). ეს მეთოდები, რომ გამოყენებულიყო მუშაობა კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერი იქნებოდა.

ჩემი მუშაობა მიმდინარე წელს გაცილებით უფრო ნაყოფიერია ვიდრე გასულ წელს.

კ. სიხარულიძე.

როგორ მივაღწიე პოლიტწრეში წარმატებას

ჩაბმული ვარ პარტისტორიის შემსწავლელი № 15 პოლიტწრეში. ჩვენი გმირული პარტისტორიის ღრმად შესწავლის მიზნით ყოველდღე ჩემი დროის ბიუჯეტიდან 2 საათს ვანდომებ პოლიტწრისათვის მასალების დამუშავებას. გულდასმით ვუსმენ ხელმძღვანელს თემის დამუშავების დროს და ვინიშნავ რვეულში მნიშვნელოვან საკითხებს. ხელმძღვანელის მიერ მითითებული ლიტერატურის მაქსიმუმით ვამუშავეს ყოველ თემას, და ვადგენ კონსპექტებს.

დღემდე დამუშავებული მაქვს შემდეგი საკითხები: ამხ. ლ. ბერიას მოხსენება „ა-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", **სტალინის** სიტყვა სტახანოველთა საკავშირო თათბირზე, სტალინის სიტყვა მოწინავე კომბაინერთა თათბირზე, სტალინის საუბარი როი ჰოვარდთან, კომინტერნის მე-VII კონგრესზე პიკის მოხსენება, ამხ. დიმიტროვის მოხსენება კომინტერნის მე-7 კონგრნსზე და სხვა.

ბერიას მოხსენებასთან დაკავშირებით დავათვალიერე რევ. მუზეუმი, დავდივარ კინოებში და ვნახულობ რევ. ფილმებს. ვკითხულობ სხვადასხვა მხატვრულ ლიტერატურას. ყველა ამის შედეგად მივაღწიე წარჩინებას. ჩემი მიზანია შევინარჩუნო და უფრო გავაღრმავო მოპოებული მიღწევები.

შ. ნაცვლიშვილი.

წარჩინებული მსმენელი

1928 წლიდან კომკავშირელი ვარ. ამჟამად ვირიცხები ეკონომიური ფაკულტეტის პარტიის ისტორიის შემსწავლელ № 13 პოლიტსკოლაში. სისტემატურად ვიბრძვი ჩემი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის, დღემდე არა მაქვს არც ერთი გაცდენა და დაგვიანება. თემებს ვამუშავებ ლიტერატურის მაქსიმუმის დამუშავების საფუძველზე, მაქვს შედგენილი ყველა დამუშავებულ საკითხების კონსპექტი, ენერგიულად ვეკიდებოდი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების „ა/კ ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"-ის შესწავლას, მის შესწავლის დროს ვხელმძღვანელობდი აგრეთვე ლენინ-სტალინის შრომებით, ძველ ბოლშევიკთა მოგონებებით და სხვ. სპეციალურად დავათვალიერე ს. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საინტერესო გამოფენები. მეცადინეობის დროს ვიყენებ მხატვრულ ლიტერატურასაც. ამჟამად განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებით, რისთვისაც სისტემატურად ვკითხულობ გაზეთებს („ახალგ. კომუნისტს", „კომუნისტს").

ჩემს საკუთარ ბიბლიოთეკაში მაქვს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყველა შრომები, რომელიც ქართულ ენაზე მოიპოვება. პოლიტსკოლაში დამუშავებულ საკითხებს გარდა ინდივიდუალურად ვამუშავებ ცალკეულ თემებს. ეხლა ვმუშაობ „ორი სისტემის ბრძოლის" საკითხზე.

კომკავშირელი იდეურ-პოლიტიკურად მომზადებული უნდა იყოს. ჩემი მიზანია ყოველთვის ვიდგე მოწოდების ამ სიმაღლეზე.

გრ. ყვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვხვდებით მეათე ყრილობას

კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების საანგარიშო საგადარჩევო კამპანიამ გააძლიერა კ. კ. მოგრუნება მისი ძირითადი ამოცანისკენ, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისაკენ.

ჯკ. ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ საანგარიშო კომპანიის ჩატარების შემდეგ ბევრი რამ გააკეთა; პოლიტ-სკოლების დაკომპლექტების საქმეში ადგილი ჰქონდა არა ნორმალურ მდგომარეობას, ამიტომ მოვახდინეთ ახალი დაკომპლექტება. ხელახალმა დაკომფლექტებამ თავისი შედეგი გამოიღო. ზოგიერთი ამხანაგი ვერ ასწრებდა პარტიის ისტორიის პოლიტ-წრეში მასალების დამუშავებას ისინი გადავიყვანეთ დაწყებით წრეში, სადაც კარგად მეცადინეობენ, ასეთებია: ბაღათურია (101 ჯგ.), ნუცუბიძე (104 ჯგ.), ჩხეიძე, მშვილდაძე (77 ჯგუფი), და სხვები. არიან ამხანაგები, რომლებიც ძირითად სახელმძღვანელოს გარდა მუშაობენ ლენინის და სტალინის ნაწერებზე, ასეთი ამხანაგების რიცხვი ერთეულებით როდი ამოიწურება. პროპაგანდისტები უკანასკნელ ხანებში გადავიდენ მეცადინეობის ცოცხალი საუბრის მეთოდზე. მოეწყო პოლიტ-სკოლის მსმენელების მიერ მუზეუმების დათვალიერება. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ვერ შევძელით პოლიტ-სკოლების გაერთიანების შემთხვევების ლიკვიდაცია.

საგრძნობლად გამოცოცხლდა აგიტატორების მუშაობა. დღემდის აგიტსემინარი ჩატარდა სამჯერ. მთელი რიგი აგიტატორები სანიმუშოდ მუშაობენ. მაგ. კ. ებალიძემ (72 ჯგ.) ჯგუფში დაამუშავა მთელი რიგი საკითხები. არიან ისეთი აგიტატორები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა (ჯოლბორდი, კაჭარავა).

უცხო ენების შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული იქნა გერმანული ენის შემსწავლელი სამი წრე, სადაც გაერთიანებულია 70-დის კომკავშირელი. ამ წრეებს ხელმძღვანელობენ ამხ. ამხ. ხოშტარია და ვალაბუევა. ქართული ლიტერატურის შემსწავლელმა წრემ მოაწყო ორი მეცადინეობა. ჩატარდა დოკ. ჰეიშვილის მოხსენება **ორდენოსანი მწერლის ოსტროვსკის** შემოქმედების შესახებ.

კ. კ. ბიურომ მოისმინა № 49 ოთახის მამასახლისის (გვარჯალაძის) თვითანგარიში და ამის საფუძველზე შეიტანა წინადადება ფაკ. სამკუთხედში საუკეთესო ბინაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ. ფაკ. სამკუთხედის მიერ ეს წინადადება მოწონებულ იქნა და ეხლა მიმდინარეობს კონკურსი საუკეთესო ბინაზე.

კ. კ. უნივერსიტეტის კომიტეტის დავალებით უნდა მოგვემზადებია 60 ქალი ნიშანზე „მ. ს. თ." პირველ აპრილს ნიშანზე „მ. ს. თ." ჩაბარა 103 ქალმა, მათ შორის 93-მა ფრიადზე და 10-მა კარგზე. სასპორტო სექციებში ჩაბმულია 170 კაცი. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევძელით II საფეხურის საპარაშუტო წრის და ვოროშილოვისებურ მსროლელ ქალთა წრის მეცადინეობის დაწყება.

ფაკულტეტთან ჩამოყალიბებულია სტუდენტთა 8 სამეცნიერო წრე. სამეცნიერო წრეებში კომკავშირელები აქტიურად მუშაობენ, რომელთა შორის აღსანიშნავია: ამხ, ამხ. დადიანის, ხუნჯუას, ბეროძეს, მელქაძის, ამაშუკელის, გოგელიანის, გრიგოლაშვილის, ხურციძეს, მარგველაშვილის, ძოძუაშვილის, კორძახიას და სხვების მუშაობა. მოეწყო ფრიადოსან სტუდენტთა შეხვედრა პროფესორ ლექტორებთან.

უკანასკნელ ორ თვეში კ. კ-ში მივიღეთ 5 ამხანაგი მათ შორის რეკორდსმენი **ორდენოსანი ამხ. იოსელიანი.**

შ. მენაბდე.

ეკ.) ფაკ. კომკავშირის ორგანიზატორი)

სურათზე: (ზევით I-ლ რიგზე) პოლიტსკოლის მოწინავე პროპაგანდისტები: ხიტირი შ., ჩხეიძე, ყვანია და მუშკუდიანი არ. სას. აკადემიური და პოლიტ. მომზადებით წარჩინებული ა. ლ. კ. კ. წევრები: საამოვი გ., ზარქუა, ბარნაბიშვილი მიქაბაძე თ. ყაჯარდუზოვი.

ცენტრალურ ამოცანისაკენ მოგრუნების პერიოდი

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიამ და საკ. ა. ლ. კ. კ. მე-10 ყრილობისათვის მზადებამ საგრძნობლად გააუმჯობესა კომკავშირულ ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობა. უდიდესი სიცხოველე, ენტუზიაზმი, ხალისი და აქტივობა გამოიწვია საკ, ა. ლ. კ. კ. ახალი წესდების პროექტის განხილვამ.

ყველა კ. კ. ჯგუფში გულდასმით წაკითხულ და განხილული იქნა წესდების პროექტი. ჯგუფოგების ახსნა განმარტებას მოსდევდა კომკავშირელთა გამოსვლა ჯგუფის კრებებზე შენიშვნებით და წინადადებებით. 80-მდე კომკავშირელმა შეიტანა თავისი შენიშვნა ან დამატება ახალი წესდების პროექტში.

საკითხი ჯგუფებში დამუშავების შემდეგ გადატანილი იქნა კომკავშირის კრებაზე 10 დღით ადრე ეცნობა კრების დღის წესრიგი, ეს კრება სანიმუშოდ მომზადდა. ორგანიზაციის აქტივი ჩაება წესდების განხილვაში მას შემდეგ, რაც კ. კ. უნივერსიტეტის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მირცხულავა გამოვიდა წესდების პროექტის გარშემო თავისი წინადადებით და შენიშვნებით იგივე საკითხზე წინადადებებით და შენიშვნებით გამოვიდენ. ამხ. შ. კალანდარიშვილი (ფაკ. პარტორგი), გ. ამიროვი (ბიუროს წევრი), ი. ამისანიძე (139 ჯგ. ორგანიზატორი), გ. გობეჯიშვილი (60 ჯგ. ორგანიზატორი, პროპაგანდისტი), აკ. ფრუიძე (ბიუროს წევრი), აქბარდია (83 ჯგუფორგი) გ. გაგუა (სამხედრო ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორი), დ. ბაღათურია (ბიუროს წევრი), და შ. მგელაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ კრებაზე გამოვიდენ წესდების პროექტის გარშემო. შენიშვნებით და, დამატებებით კომკავშირელებთან ერთად პარტიის წევრ-კანდიდატები. შენიშვნები და წინადადებები უმთავრესად ეხებოდენ კომკავშირში ყოფნის ასაკის საკითხს, წევრობიდან გარიცხვასთან ერთად კანდიდატად გადაყვანის საკითხს, საკანდიდატო სტაჟის, სასჯელის, პოლიტმომზადების დონის შემოწმების, რეკომენდატორების, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებისათვის პარტიულ და კომკავშირულ სტაჟის, კომკავშირელთა საწესდებო მოვალეობათა დაზუსტების და სხვა მრავალ საკითხებს.

ამხანაგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრს კომკავშირის მუშაობის სასიცოცხლო საკითხებზე. ყრილობის მიერ წესდების მიღების შემდეგ კი ის იქნება კომკავშირული კანონი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა და უნდა იბრძოლოს მის განუხრელად განხორციელებისათვის.

დიდის აქტივობით გაიშალა აგრეთვე კომკავშირის პროგრამის პროექტის დაკითხვა-განხილვა ჯგუფებში.

კომკავშირელები ერთის მხრივ ერთხმად იწონებენ პროგრამის პროექტს დ შეაქვთ თავიანთი წინადადებანი დამატების ან ამა თუ იმ მუხლის დაზუსტებისათვის.

ეს შესანიშნავი სიცოცხლე გამოწვეულია ორგანიზაციის მიერ უმთავრეს ამოცანების სრული გაგებით.

მთელ ამ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა კრებების ხარისხი, აქტივობა გაიზარდა, პოლიტსკოლებში დასწრების პროცენტმა 96-ს მიაღწია, ამაღლდა შეთვისების ხარისხი, მოწესრიგდა კომკავშირული მეურნეობა და აღსანიშნავი არის, რომ ფაკ. ორგანიზაციაში წესდების პროექტის ფართოდ განხილვის შედეგად დღეს არ ირიცხება ისეთი წევრი, რომელსაც საწევრო ანარიცხის ერთი თვის დავალიანებაც რომ ქონდეს.

საკ. კომკავშირის მე-10 ყრილობას ისტ. ფაკულტეტის კ. კ. ორგანიზაცია ტ. ს. უ. პარტიული კომიტეტის და ფაკ. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით და დარნმარებით ხვდება მუშაობის შესამჩნევად მობრუნებით აღზრდის ამოცანისაკენ.

ი. იზორია.

(კომკავშირის ისტ. ფაკულტეტის ორგანიზატორი)

სიტყვასთან საქმეც

ეკ. ფაკულტეტის № 96 ჯგუფის კომკავშირულ ჯგუფმა გადარჩევების შემდეგ ერთგვარი მუშაობა ჩაატარა; მოწესრიგებული იქნა კომკავშირული მეურნეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიის ისტორიის სწავლებას. მაგრამ... კომკავშირულ ჯგუფმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, რაც გამოიხატება მასში, რომ ერთხელაც არ მოწყობილა კინო-თეატრებში კოლექტიური დასწრება, ბევრი იყო ლაპარაკი რევოლუციური მუზეუმში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი გამოფენის დათვალიერების შესახებ, მაგრამ საქმით არაფელი გაკეთებულა. ჯგუფის 23 კომკავშირელიდან სამეცნირო წრეში მხოლოდ 3 კომკავშირელი ირიცხება. ჯგუფში მხოლოდ 12 ცალი „ახალგაზრდა კომუნისტი" 5 ცალი „კომუნისტი" და 15 ცალი „ახალგაზრდა ბოლშევიკია" გავრცელებული. პოლიტ-სკოლებში არავინ იწუხებს თავს კონსპექტების შედგენისათვის.

ცხადია ამგვარი ტემპებით კომკავშირული ჯგუფის მუშაობას ვერ გადავაქცევთ მიმზიდველად. ჯგუფის კომორგმა ამხ. ნ. ჯანელიძემ უნდა გარდაქმნას მუშაობა.

ვ. ტრაპაიძე.

შევაიარაღოთ...

„შევაიარაღოთ ახალგაზრდობა პარტიული ცოდნით, წარსულის გამოცდილებით, ჩავუნერგოთ მას პრინციპული ბოლშევიკური იდეურობა" ამხ. კოსარევის ეს სიტყვები დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კომკავშირული პოლიტ-სკოლების პროპაგანდისტებს. ჩემი პროპაგანდისტული მუშაობა მიმართული იყო ციტირებული ადგილის განხორციელებისაკენ. მე ღრმად მაქვს შეგნებული რომ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ახალგაზრდობის აღზრდის ყველაზე **უ**ეთესი იარაღი არის პარტიის **ისტორია.**

ვხელმძღვანელობ ფიზიკურ-მატემატიკური ფაკულტეტთან ჩამოყალიბებული **პარტისტორიის** კომკავშირულ პოლიტ-სკოლას. მეცადინეობაზე ყოველთვის მოვდივარ მომზადებული და ახალი მასალის დამუშავებასთან ერთად ვამოწმებ მსმენელთა ათვისების ხარისხსაც. ცოცხალი საუბრის მეთოდმა უფრო გაზარდა მსმენელთა აქტიობა.

პოლიტ-სკოლაში მყავს საუკეთესო მსმენელები: ნიორაძე, ზალიშვილი, წერეთელი, ციხაური, მელაძე, ხომერიკი, ამყოლაძე და სხვები. საუბედუროთ მყავს სუსტი მსმენელი **პ. კოლონია** (უპარტიო). კოლონია არ კითხულობს პარტიულ ლიტერატურას და ვერც შევძელი მისი დაინტერესება ამ საქმეში.

ჩემი პოლიტ-სკოლა მუშაობს საღამოს 9—11 საათამდის. 9 საათამდის კი ხშირად ხდება კრებები ტ მსმენელები დაღლილი ცხადდებიან პოლიტ-მეცადინეობაზე. რაც უსათუოდ უარყოფითად მოქმედებს მეცადინეობის ხარისხზე.

პროპ. არ. მუშკუდიანი.

ძირეული პრესა

სახელმწიფო უნივესიტეტის კედლის გაზეთის მუშაობაში მთელ რიგ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს სხვადასხვა ხასიათის დეფექტებსაც. განვიხილოთ ზოგიერთი ფაკულტეტის კედლის გაზეთების მუშაობა.

„ლიტერატორის ხმა“ (ლიტერატურის ფაკულტეტის სამკუთხედის ყოველთვიური გაზეთი) კარგად არის გამოცემული, დაწერილია სუფთად და ლამაზად, კარგია მხატვრული გაფორმებაც, წერილები დაწერილია მოკლედ და კონკრეტულ საკითხებზე, ნაკლებადაა სტილისტური და კორექტორული შეცდომები. მაგრამ გაზეთის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ დღემდე მხოლოდ ერთი ნომერია გამოცემული და გაზეთში მოთავსებულ სტუდენტების 26 სურათიდან 18 სურათი № 141 ჯგუფის სტუდენტებისაა.

„ლენინის დროშით“ (ისტორიის ფაკულტეტის სამკუთხედის ყოველთვიური ორგანო). მსგავსად „ლიტერატორის ხმისა“ ამ გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერია დღემდე გამოცემული. მთელი გაზეთის 1/3 უჭირავს მოწინავე წერილს, რომელიც დაწერილია ზოგადათ და ადგილი აქვს აზრთა ტავტალოგიას, ვხვდებით არა სწორ ფორმულირებებს და სტილისტურ შეცდომებსაც, ასე მაგ., პატარა (!) და დიდი სტალინი“, „სოციალისტურს (!) მშენებლობას“ „ბასრს (!) იარაღს“ და სხვ.

სტუდენტ შამელაშვილის წერილს არა აქვს სათაური და გაუგებარი რჩება თუ სად იწყება წერილი.

„ლენინის დროშით“ „სამართლის ფაკულტეტის სამკუთხედის ყოველთვიური ორგანო) გაზეთის უკანასკნელი ნომერი (№ 4) სხვა ნომბრებს ჩამორჩება როგორც შინაარსით ისე ფორმითაც. ცუდათ არის დაწერილი მოწინავე, წაშლილია წერილის დასასრული. გაზეთი დაწერილია ცუდი კალიგრაფიით, ადგილი აქვს მთელ რიგ სტილისტურ და კორექტორულ შეცდომებს. გვხვდება უაზრო წინადადებაც, მაგ. წერილში პარტ-დოკუმენტების გამოცვლის შესახებ ვკითხულობთ: **„თუ რა შეადგენს პარტ-დოკუმენტების გამოცვლის ამოცანას, რომელიც მდგომარეობს, პარტიიდან ისეთი ხალხის განთავისუფლებაში, რომლებსაც არ შეუძლიათ ავანგარდულ როლის წაყვანა„.** (!) გაზეთის აღნიშნული ნომერი სამარცხვინოთაა გამოცემული და გვიჩვენებს იმას თუ როგორ არ უნდა იცემოდეს გაზეთი.

ბიოლოგიური ფაკულტეტის სამკუთხედის ყოველთვიური გაზეთი (დამკვრელი ბიოლოგი)—ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. გაზეთში მოთავსებულ წერილებში გვხვდება უაზრო წინადადებები, არა სწორი ფორმულირებანი მაგ. წერილში—„ჩვენი კათედრები“ ვკითსულობთ: „კათედრებმა უნდა უზრუნველყონ კადრების თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები“... იქვე „გაუმარჯოს მსოფლიო კომინტერნს და მის გენერალურ შტაბს“ (!!!) ან კიდევ—„ბიოლოგიურ ფაკულტეტზე დაკომპლექტების (!) შემდეგ არსებობს 6 პოლიტ-სკოლა“, ასეთი არაფრის მთქმელი წინადადებები და უაზრო ფორმულირებანი ხშირად გვხვდება წერილებში.

საჭიროა აღნიშნული კედლის გაზეთების მუშაობაში დაუყონებლივ მოხდეს გარდატენა, იმ ანგარიშით რომ ჩვენი უნივერსიტეტის ძირეული პრესა იყოს შინაარსიანი, ცოცხალი, საქმიანი და მიმზიდველი.

საკ. კ. პ. (ბ). წევრობის მოწინავე კანდიდატები: ეგნატაშვილი, ტრაპაიძე, ანთიძე, ჩხარტიშვილი.

როგორ ხელმძღვანელობას უწევ კომკავშირს

ვარ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მე-2 კურსის № 100 ჯგუფის პარტ-აგიტატორად, ჩვენს ჯგუფში არის 16 კომკავშირელი და 14 უპარტიო და ერთი პარტიის წევრი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფში საუკეთესო მუშაობა ჩავატარეთ რაც გამოიხატება შემდეგში: კომორგი იწვევს დახურულ კრებებს კომკავშირისას სადაც სისტემატიურათ ვესწრები, დავამუშავეთ ამ კრებაზე კომკავშირლების პოლიტსკოლებში მუშაობის საკითხი თუ როგორ მუშაობენ და ეუფლებიან მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თეორიას, მოსმენილ იქნა ორი კომკავშირელის თვით ანგარიში (ბენიძე ვ. ზენაიშვილი თ.) რომლებიც საუკეთენოთ მუშაობენ. უპარტიოები ჩაბმული არიან პარტ-პოლიტსკოლებში, რომლებიც საუკეთესოთ სწავლობენ (ფირცხალავა ვარ., ცაგარეიშვილი თ.) ჯგუფში ვაწყობთ მხატვრული ლიტერატურის კითხვას და შინაარსის დამუშავებას. მაგ. გორკის „დედა“, პანტელეიმონ ჩხიკვაძეს „ხანლაველი გერონტი“. ლიტერატურულ გასამართლებას მოვაწყობთ ამ ცოტახანში. პროფკავშირული დავალიანება ჯგუფში არარის, „თავდაცვა-ავიაქიმფ“ წრეში გვყავს 18 წევრი, „სოფლისა და ქალაქის შორის კავშირი„-ის წევრები გვყავს 24. დასახული გვაქვს მიზნათ წავიდეთ ჩვენს საშეფო სოფელში და რაიმე დახმარება აღმოუჩინოთ.

სუსტებზე მიმაგრებული გვყავს ძლიერები და სისტემატურად ვისმენთ მათ ანგარიშს თუ როგორ მუშაობენ ძლიერები და ასწორებენ სუსტებს. ჯგუფში არ არის სტუდენტი რომ არ გრძნობდეს თავისი აკადემიური დონის ამაღლებას. ჯგუფის სამუალო ნიშანი შეადგენდა 3,7. ეხლა ვცდილობთ ავიყვანოთ 4-ზე. ჯგუფში გვყავს ორი წარჩინებული და სამი დამკვრელი სტუდენტები: (საჭიროა მეტი იყოს) ესენია ბენიძე ვარლ., კოდუა შ., ცაგარეიშვილი თამ., მელაძე ოთარ. გარდა ამისა ჩვენ ვაწყობ ექსკურსიებს სხვადასხვა წარმოებებში რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია სტუდენტებში. მაგალითად: მოვაწყეთ ექსკურსია აბრეშულის საქსოვ ფაბრიკაში, მუზეუმში და ეხლა ვფიქრობთ მაუდის ფაბრიკაში ექსკ. მოწყობას.

ასეთია ჩვენი მუშაობა რომელიც ტარდება ჩვენს მე-100 ჯგუფში. ჯგუფის სამკუთხედი ვმუშაობთ მონოლიტურად შეხმატკბილებული, არც ერთ საკითხს არ ვტოვებთ რომ ჯგუფში არ გავაშუქოთ პრესიდან.

კომორგათ ითვლება წერეთელი და საუცხოვოდ მუშაობს.

ნ. ტოროშელიძე.

ვსწავლობ მუყაითად ცოდნა-გულმოდგინეობა

ვარ ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი. ვსწავლობ პარტ-ისტორიის შემსწავლელ პოლიტ-წრეში. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლას თავიდანვე დიდი ინტერესით მოვკიდე ხელი, პარტიის საკითხების და ჩვენი ბელადების რევოლუციონური მოღვაწეობის ეპიზოდების შესახებ სხვადასხვა ლიტერატურის კითხვა სიხარულსა და კმაყოფილებას იწვევს ჩემში. ყოველ თემას ვამუშავებ ლიტერატურის მაქსიმუმით. ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების „ამიერ-კავკასიას ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“ ღრმად შესწავლის მიზნით დავამუშავე **სტალინის** წერილები „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „წერილი კავკასიიდან““.

ჩვენი პროპაგანდისტის ამხ. ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით დავათვალიერეთ 1905 წლის რევოლუციის 30 წლის თავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ხშირად ვნახულობ კინო სურათებს, ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას. გამოწერილი მაქვს და ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს.

„უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ახალგაზრდა კაცი, თუ მას სურს იყოს მოწინავე, სწავლობდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, სწავლობდეს ამხანაგ სტალინის შრომებს, სწავლობდეს მუყაითად და ბეჯითად“ ამხ. **ა. კოსარევის** ეს სიტყვები არადროს დამავიწყდება ვსწავლობ და მომავალშიც ვისწავლი მუყაითად და ბეჯითად.

ნ. შველიძე.

ვიმუშაოთ საკუთარ თავზე

ვითვლები ეკონომიური ფაკ. კომკავშირის პარტისტორიის № 1 პოლიტწრის მსმენელად. დღემდე არც ერთი მეცადინეობა არ გამიცდენია. ყოველ მეცადინეობას მომზადებული ვხვდები და წრის მეცადინეობაზედაც აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ. დიდი ინტერესით შევისწავლე ამხ. ლ. ბერიას ისტორიული მოხსენება და კომინტერნის მე-VII კონგრესის მასალები. ვამუშავებ დამატებით ლიტერატურას და სისტემატურად ვადგენ კონსპექტს. ექვსდღიანში პოლიტმეცადინეობისათვის დამოუკიდებელ მუშაობისათვის გამოყოფილი მაქვს არა ნაკლებ 5 საათისა. ვმეცადინეობ ჩემს ამხანაგებთან—ანთაძესა (კ. კ.) და გოგეშვილთან (უპ.) ერთად.

ყოველდღიურად ვკითხულობ „ახ. კომუნისტ“ და „კომუნისტს“. ძალიან მაინტერესებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. პოლიტწრის მასალების გარდა ამჟამად ვმუშაობ ამხ. ლენინის „რა ვაკეთოთ“-ზე. მინდა შევისწავლო ეს უდიდესი დოკუმენტი. დიდი სიხარულითა და მონდომებით ვეკიდები ლენინ-სტალინის შრომების შესწავლას, რის გარეშეც ეხლა წარმოუდგენელია ჰქონდეს ადამიანს პოლიტიკური ალღო.

თამარ ამაშუკელი.

წარმტაცი შთაბეჭდილება

23 მარტს 24 კომკავშირელმა მივედით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის მიერ გახსნილი 1905 წლის ბრძოლების 30 წლის თავის აღსანიშნავ გამოფენის დასათვალიერებლად. ჩვენი ყურადღება სავსებით მიიზიდა გამოფენის მხატვრულ გაფორმებამ, დიდი ბელადების **ლენინისა და სტალინის** რევოლუციონური მუშაობის გამოფენამ. გამოფენაზე ვნახეთ ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების ფართო ილუსტრაცია. გავეცანით ავლაბრის არალეგალური სტამბის ისტორიას. ვნახეთ გაზეთები „ბრძოლა„, „ბაკინსკი რაბოჩი“. თვალწინ წარმოგვიდგა რუსეთსა და საქართველოში 1905 წლის რევოლუციის განვითარების ისტორია. რა რიგ სასიამოვნოა გამოფენის თითეული კუთხის დათვალიერება და მათ შორის იმ ადგილისა სადაც ნაჩვენებია წითელ გვარდიელთა შეიარაღებული თავდასხმა მეფის ყაზარმაზე ნასაკირალში (გურია) 1905 წელს.

—ჩემთვის ბერიას მოხსენება ეხლა უფრო გასაგებია, აქ ვხედავ მას რასაც ვსწავლობდი მოხსენებაში. ჩამჩურჩულა ამხანაგმა... ამაში ის არ სტყუოდა. გამოფენის დათვალიერებამ ჩემში დატოვა არა მარტო დიდი შტაბეჭდილება, არამედ დიდი ცოდნაც.

ისტორიულ ფაკულტეტის ფილოსოფიური სექციის პირველი კურსის კ. კ. ჯგუფთან არსებული პარტისტორიის შემსწავლელი პოლიტ-სკოლის მსმენელი ვარ. ჩვენი სკოლის მსმენელები სისტემატურად დავდივართ კოლექტიურად კინო თეატრებში, მუზეუმებში. ამ საქმეში საკმაო ხელმძღვანელობას გვიწევს პროპაგანდისტი ამხ. მაცაბერიძე, მის ხელმძღვანელობით დავათვალიერეთ აღნიშნული გამოფენა, იქ მიღებული შთაბეჭდილება მარად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

სერგო შონია.

„მხიარული ახალგაზრდობა“

1935 წლის სექტემბრის თვე იყო. მატარებელი, ეკ. ფაკ. მე-III კურსის სტუდენტს ლეო ლატარიას ტფილისისაკენ მოაქროლებდა. მახ თავი გადმოყო რონოდას ჯანჯრიდან და მიეცა ოცნებას... ის ფიქრობდა უნივერსიტეტზე, ამხანაგებზე... შეასრულა მგზავრობის ჩვეულებრივი აძბავი... ის ჩაასახლეს მე-8 კორპუსის № 8 ოთახში. და „კომედიაც“ აქედან იწყება...

ამ ოთახში მცხოვრებმა კომკავშირელმა ამხანაგებმა თ. ხაინდრავამ, გორგოშიძემ და სხვებმა ლ. ლატარიას სახით სხვა გვარი მასალისაგან აგებული კაცი დაინახეს. **ლატარიას** ყოველგვარი მოქმედება ამ ახალგაზრდებს სასაცილოდ არ ყოფნიდათ. იყო სიცილი, ერთი ამბავი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამხანაგური ხუმრობა; აბა როგორ უნდა ავხსნათ ის ამბავი, რომ ლატარიას, ლოგინში ხვლიკი ჩაუგდენ..., მას დასცინონ, დასცინონ ყველაფერზე...

ლატარია იძულებული გახდა № 35 ოთახში გადასულიყო. მაგრამ აქაც იგივე ამბავი განმეორდა. **სოსელია ნიკოლოზ** და **ცაავა გიორგი** უშვალოდ და პირდაპირ აგრძელებენ მე-8 ოთახის „მხიარული ახალგაზრდობის“ საქმიანობას: ამხანაგის შეურაცყოფა, დაცინვა, დამცირება, აქ უფრო მაღალ საფეხურზე ადის...

...1936 წლის აპრილის თვეა. ლ. ლატარია მე-8 კორპუსის აივანზე დადგა და მიეცა ფიქრების ზღვას. მაგრამ ის როდი ფიქრობს ლამაზ სქესის მშვენიერებაზე. მისი ფიქრები სულ სხვა გვარია. მას ვერ გადაუწყვეტია, უნივერსიტეტს თავი დაანებოს და სახლში წავიდეს თუ საბოლოო ანგარიში გაუსწოროს დასახელებულ „ამხანაგებს“... ის კი ფაქტია, რომ დანების ლესვას უკვე შეუდგა...

აი სანამდის მივიდა საქმე. ჩვენში არა მარტო აღშფოთებას იწვევს დასახელებული „მხიარული ახალგაზრდობის“ მოქმედება, არამედ გაკვირვებასაც თუ ვისგან შეითვისენ მათ ასეთი უმსგავსოება... სად არის კომკავშირი! მისი ხელმძღვანელები! ნუ თუ მოსათმენია კომკავშირელების მიერ ასეთი ანტისიმპატიური დამოკიდებულება ამ. ხანაგებისადმი? შეიძლება ლ. ლატარია თავისებური ხასიათისაა, მაგრამ ამით რა მოხდა? განა ადამიანები თანასწორი ხასიათის და ნებისყოფის იბადებიან?

კომკავშირის ორგანიზაციამ კარგად უნდა შეისწავლოს აღნიშნული მდგომარეობა.

ჰოპლა.

პ/მ. რედაქტორი—ს. გეგენავა.

ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ.

სტ. მოწმობა ვერა დარასელის. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ელენე ჯანელაძის. პროფკავშირის წიგნაკი მ. ჩხენკელის. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ს. გეგენავას. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ვ. ტუღუშის. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ი. ყიფშიძის. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი რ. ხარბედიას. პროფკავშირის წიგნაკი კატო მახათაძის. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი გ. ჩხაბერიძის. სტ. მოწ. ელ. კობახიძის.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია

თავლიტის რწმუნებული № დ-81